ფრე ერევანში

ერევანი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან).

თბილისის დინამოელები აქ თავის მორიგ მატჩში საბჭოთა კავშირის პირველობაზე და პირველ მატჩში შეჯიბრების დასკვნით ეტაპზე შეხვდნენ ერევნის "სპარტაკს".

თამაშის დასაწყისი აღინიშნა მასპინძელთა მძაფრი იერიშებით. მაგრამ დაახლოებით მე-5 წუთიდან თბილისელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და მდგომარეობის სრული ბატონ-პატრონებიც გახდნენ. შედეგმაც არ დააყოვნა. მე-7 წუთზე კალოევის დარტყმის შემდეგ ბურთი მოხვდა ბარქაიასთან და მან ზუსტად გამოიყენა საგოლე მომენტი _ 1:0. დანარჩენი დროც, პირველი ტაიმის დასასრულამდე, ჩვენი ფეხბურთელების აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ ჯერ მესხის ძლიერი დარტყმა მოხვდა ძელს, ხოლო მერე 30-ე წუთზე კვლავ ძელმა დააბრუნა უკან ბურთი კალოევის თავურის შემდეგ.

მეორე ნახევარი კვლავ მასპინძლების იერიშებით დაიწყო და თბილისელებმა თანდათანობით დათმეს ინიციატივა. მართალია, ათი წუთის შემდეგ თამაში მცირე ხნით გათანაბრდა და სწორედ აქ ახლა უკვე იამანიძემ ვერ გამოიყენა ანგარიშის გაზრდის აშკარა შესაძლებლობა, მაგრამ მაინც ტაიმი ერევნელი ფეხბურთელების უპირატესობით ჩატარდა.

თამაშის დამთავრებას აკლდა ექვს-ნახევარი წუთი, რომ ჩვენმა მცველებმა კვლავ არაზუსტად ითამაშეს: ბურთი მათგან გოლის უშუალო სიახლოვეს დაეშვა, მას მიუსწრეს "სპარტაკის" თავდამსხმელებმა და მხოლოდ ოდნავ შეუცვალეს მიმართულება. 1:1 _ ეს ანგარიში აღარ შეცვლილა თამაშის ბოლომდე.

"ლელო", 30 აგვისტო, 1961 წ.